

## განმარტებითი ბარათი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი

2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების დიდმა ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა საქართველოს პარლამენტს და უარი თქვა მოპოვებული სადეპუტატო მანდატების გამოყენებაზე. დამაბულობის და შექმნილი პოლიტიკური კრიზისის შემდგომი ესკალაცია გამოიწვია საქართველოს პარლამენტის წევრისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ნიკანორ მელიას დაკავებამ და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებამ.

საქართველოში ვითარების ნორმალიზების, დამაბულობის დეესკალაციისა და პოლიტიკური კრიზისის დაძლევის მიზნით, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მედიაცია ითავა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, ბატონმა შარლ მიშელმა, რომელიც 2021 წლის 1 მარტს თავად ჩამოვიდა საქართველოში და შეხვედრები გამართა საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებთან, ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. ამის შემდეგ, მედიაციის შემდგომი ეტაპების წარმართვის მიზნით, საქართველოში ორჯერ იმყოფებოდა პრეზიდენტ მიშელის პირადი წარმომადგენელი, ბატონი კრისტიან დანიელსონი. მედიაციის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი საქართველოში ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელი კარლ ჰარცელი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი კელი დეგნანი.

2021 წლის 18 აპრილს პრეზიდენტმა მიშელმა გამოაქვეყნა შეთანხმების ტექსტი სათაურით „სამომავლო გზა საქართველოსთვის“, რომელსაც 2021 წლის 19 აპრილს (ქვემოთ - „2021 წლის 19 აპრილის შეთანხმება“) და შემდგომ დღეებში ხელი მოაწერეს საპარლამენტო მანდატის მქონე 7 პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა და სხვა პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიით საქართველოს პარლამენტში გასულმა ცალკეულმა დეპუტატებმა. შეთანხმების ხელმოწერას, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში გაიმართა, საქართველოს პრეზიდენტთან და ხელმომწერ მხარეებთან ერთად, დისტანციურ რეჟიმში, ესწრებოდა პრეზიდენტი მიშელიც, რომელიც მიღწეული შეთანხმების აღსანიშნავად, 2021 წლის 20 აპრილს კიდევ ერთხელ ჩამოვიდა საქართველოში და შეხვდა ყველა მხარეს.

ზემოაღნიშნული შეთანხმება, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს ამბიციური სასამართლო რეფორმის განხორციელებას. სწორედ ეს არის ამ კანონპროექტის ინიცირების მიზეზი.

წინამდებარე კანონპროექტი მიზნად ისახავს 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმების იმპლემენტაციას. შეთანხმების თანახმად, ამ საპარლამენტო ვადაში, ფართომასშტაბიანი, ინკლუზიური და ყველა პარტიის მონაწილეობით შემუშავებული რეფორმების გზაზე პირველი ნაბიჯის გადადგმის ნიშნად, პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს ამბიციური

სასამართლო რეფორმა, მათ შორის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სიღრმისეული რეფორმა, რათა გაიზარდოს გამჭვირვალობა, კეთილსინდისიერება და ანგარიშვალდებულება.

კანონპროექტი ასევე ემსახურება იმ რეკომენდაციების შესრულებას, რომლებიც სასამართლო რეფორმის სხვადასხვა ეტაპებზე გაცემულ იქნა ვენეციის კომისიის, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის, GRECO-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

#### **ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა**

ზემოთ აღწერილი პრობლემის მოგვარება, უმეტეს წილად, საკანონმდებლო ჩარევას და, პირველ რიგში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში სათანადო ცვლილებების შეტანას მოითხოვს. ეს, შესაძლოა, არ იყოს საკმარისი ზომა უკლებლივ ყველა პრობლემის მოსაგვარებლად, რადგან ბევრი რამ მართლმსაჯულების სისტემის ორგანოების პრაქტიკის გაუმჯობესებაზეც არის დამოკიდებული, მაგრამ საკანონმდებლო ჩარევა აუცილებელი ზომაა, რომლის გარეშეც ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემა ვერ გაჯანსაღდება.

#### **ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები**

წინამდებარე კანონპროექტის მიღების შემთხვევაში მიღწეულ იქნება 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმებით გათვალისწინებული მიზნები და საქართველოს კანონმდებლობაში აისახება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სასამართლო რეფორმის სხვადასხვა ეტაპზე გამოთქმული რეკომენდაციები.

#### **ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

*1. რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეების, კოლეგიებისა და პალატების თავმჯდომარეების არჩევითობა*

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეების, სააპელაციო სასამართლოების საგამომიებო კოლეგიებისა და პალატების თავმჯდომარეების, კოლეგიების მქონე რაიონული (საქალაქო) სასამართლოების კოლეგიების თავმჯდომარეების არჩევითობას. თავდაპირველად, ეს სიახლე გათვალისწინებული იყო მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მესამე ეტაპზე, რასაც მიესალმნენ ვენეციის კომისია და ევროპის საბჭოს დირექტორატი ადამიანის უფლებათა საკითხებში<sup>1</sup>. თუმცა, მოგვიანებით, სავარაუდოდ სასამართლოში გაბატონებული ჯგუფის მოთხოვნით და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ხელდასხმით, შესაბამისი ნორმები ამოღებულ იქნა კანონპროექტიდან. უდავოა, რომ სასამართლოების, პალატებისა და კოლეგიების თავმჯდომარეების არჩევითობა ბევრად უფრო დემოკრატიული წესია, ვიდრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მათი დანიშვნის ამჟამად მოქმედი წესი.

*2. ცვლილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენის წესში*

<sup>1</sup> Joint Opinion of the Venice Commission and the Directorate of Human Rights (DHR) of the Directorate General of Human Rights and Rule of Law (DGI) of the Council of Europe on the Draft Law on Amendments to the Organic Law on General Courts of Georgia, CDL-AD(2014)031, para. 84.

ამ საკითხზე ვენეციის კომისიამ არაერთხელ იმსჯელა. მისი რეკომენდაციების დიდი ნაწილი ასახულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში. თუმცა, დღემდე არ არის გათვალისწინებული და ასევე საჭიროებს შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებას ვენეციის კომისიის ბოლო დასკვაში მოცემული რეკომენდაციები, რომლებიც ამ ავტორიტეტულმა საერთაშორისო ინსტიტუტმა 2021 წლის 28 აპრილს გამოაქვეყნა<sup>2</sup>.

წარმოდგენილი კანონპროექტით იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან იქმნება საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭო, რომელსაც ეკისრება როგორც უზენაესი სასამართლოს, ისე ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასება ამ კანონით დადგენილი კრიტერიუმებისა და მახასიათებლების შესაბამისად. საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრების მიერ შევსებული კანდიდატების შეფასების ფურცლები, ისევე, როგორც ამ შეფასების ფურცლების საფუძველზე საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს მიერ შედგენილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა სია წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი, თუმცა, მისი წევრების ნომინირების უფლება გადაეცემა იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც საქართველოს დახმარებას უწევენ მართლმსაჯულების და სამართალდამცავი სისტემების რეფორმის, ადამიანის უფლებათა დაცვის, სამართლის უზენაესობის განმტკიცებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებში.<sup>3</sup> ასეთი რადიკალური ზომის მიღება აუცილებელია მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის და მთლიანად მართლმსაჯულების სისტემის მიმართ თითქმის არარასებული საზოგადოებრივი ნდობის შესაქმნელად.

კანონპროექტი არანაკლებ მნიშვნელოვან სიახლეს ითვალისწინებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესშიც. კერძოდ, როდესაც საქმე ეხება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენას და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეობის თანამდებობაზე გამწესებას, იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებებს დებულობს არა წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედით, როგორც ეს კანონის მოქმედ რედაქციაშია, არამედ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედით და ცალკე არამოსამართლე წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედით. ეს ორმაგი (კვალიფიციური) უმრავლესობის პრინციპი ვენეციის კომისიამ და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა საქართველოს საარჩევნო კოდექსის თაობაზე თავიანთ ამასწინანდელ ერთობლივ დასკვნაში შემოგვთავაზეს.<sup>4</sup>

კანონპროექტით აღნიშნული პრინციპის გამოყენება არის დადგენილი ყველა სხვა გადაწყვეტილებასთან დაკავშირებითაც, რომელსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ამა თუ

<sup>2</sup> Urgent Opinion on the Amendments to the Organic Law on Common Courts, CDL-PI(2021)007.

<sup>3</sup> მსგავსი სტრუქტურა, ასევე უცხოური ელემენტის მონაწილეობით, შექმნილია უკრაინაში (იხ. Venice Commission Opinion on Amendments to the Legal Framework Governing the Supreme Court and Judicial Governing Bodies, CDL-AD(2019)027.

<sup>4</sup> Joint Urgent Opinion on the Draft Amendments to the Election Code, CDL-PI(2021)005, paras. 13(A), 31, 34.

იმ საკითხზე ღებულობს (მოსამართლეთა თანამდებობაზე გამწესება, მოქმედი მოსამართლის შეფასება და სხვ.).

ვენეციის კომისიის რეკომენდაციის კვალდაკვალ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატების წარდგინების გაუქმების შემთხვევაში, კანდიდატთა ხელახალ შეფასებას საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭო ახორციელებს, ხოლო ხელახალ წარდგინებას იუსტიციის უმაღლესი საბჭო იმ წევრის (წევრების) გარეშე იღებს, რომლის მიერ ამ კანონის 34<sup>3</sup> მუხლის მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „ე“ ქვეპუნქტების დარღვევის გამო (მიკერძოებულობა, დისკრიმინაციული მიდგომა, უფლებამოსილების გადამეტება, არსებითად მცდარ ინფორმაციაზე დაყრდნობა, პროცედურის დარღვევა) გააუქმა უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინება.<sup>5</sup> იგივე პრინციპი მოქმედებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასების და თანამდებობაზე გამწესების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესშიც.

კანონპროექტის თანახმად, ასეთი დარღვევა შედეგად იწვევს საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, რაც აუცილებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და მთლიანად სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად.

### *3. მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება*

ისევე, როგორც უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატების წარდგენის შემთხვევაშია, ამ შემთხვევაშიც მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასების უფლებამოსილება გადაეცემა საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივ საბჭოს.

### *4. სამწლიანი გამოსაცდელი ვადისა და მოსამართლის კონკურსის გარეშე დაწინაურების გაუქმება*

ვენეციის კომისიის, ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების რეკომენდაციების კვალდაკვალ უქმდება მოსამართლეთა სამწლიანი გამოსაცდელი ვადა.

კანონპროექტით ასევე უქმდება კონკურსის გარეშე მოსამართლეობის დაწინაურების მექანიზმი.

### *5. მოსამართლეთა პერიოდული შეფასების სისტემა*

საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში შექმნილი მრავალწლიანი კრიზისის დამლევის, სასამართლო ხელისუფლებაში გაბატონებული ჯგუფის გავლენის შემცირების, გარე და შიდა ძალებისგან სასამართლოს რეალური დამოუკიდებლობისა და, ამასთანავე, საზოგადოების წინაშე მისი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის, მოსამართლეთა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის პერიოდული შემოწმების მიზნით,

---

<sup>5</sup> CDL-PI(2021)007, para. 15.

კანონპროექტით გათვალისწინებულია მოსამართლეთა პერიოდული შეფასების სისტემის შემოღება.

კერძოდ, კანონპროექტის თანახმად, რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებიდან ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ხორციელდება მოსამართლის საქმიანობის შეფასება. ეს უფლებამოსილებაც გადაეცემა საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივ საბჭოს, რომელიც მოსამართლის შეფასების მიზნით, წილისყრით შეარჩევს თავის 4 წევრს („შემფასებლებს“), რომლებმაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, 4 თვის ვადაში უნდა წარმოადგინონ შესაბამის პერიოდში მოსამართლის საქმიანობის შეფასების ანგარიში. შეფასება ხორციელდება კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების შესაბამისად.

თუ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას არანაკლებ 3 შემფასებელი მიიჩნევს, რომ მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს და, ამასთანავე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მოსამართლის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ქულათა მაქსიმალური რაოდენობის 70 პროცენტზე მეტია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გამოსცემს განკარგულებას მოსამართლის მიერ დადებითი შეფასების მიღების თაობაზე.

თუ შემფასებლებს შორის 3-ზე ნაკლებია მათი რაოდენობა, ვისაც მიაჩნია, რომ მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ან კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მოსამართლის მიერ მოპოვებული ქულათა ჯამი ქულათა მაქსიმალური რაოდენობის 70 პროცენტზე ნაკლებია, საბჭოს თავმჯდომარე გამოსცემს განკარგულებას მოსამართლის მიერ უარყოფითი შეფასების მიღებისა და საკითხის იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის გადაცემის თაობაზე.

შეფასების შედეგების ანალიზისა და მოსამართლესთან გასაუბრების საფუძველზე, საბჭოს სხდომაზე საკითხის ირგვლივ გამართული სათანადო მსჯელობის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო:

ა) კომპეტენციის ნაკლის შემთხვევაში, ორმაგი უმრავლესობის პრინციპით იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის 12 თვის ვადით სამოსამართლო უფლებამოსილებათა განხორციელებისაგან ჩამოცილებისა და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სპეციალური საკვალიფიკაციო კურსის გავლის მიზნით მივლინების შესახებ (ასეთ დროს მოსამართლეს უნარჩუნდება ხელფასის 1/3);

ბ) კეთილსინდისიერების ნაკლის შემთხვევაში, ორმაგი უმრავლესობის პრინციპით იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ.<sup>6</sup>

ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სადისციპლინო კოლეგია, დისციპლინური სამართალწარმოების წესით, განიხილავს საკითხს, ჰქონდა თუ არა ადგილი

---

<sup>6</sup> სომხეთის მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ შეფასების მექანიზმზე მსჯელობისას ვენეციის კომისიამ მკაფიოდ განაცხადა, რომ „შეფასება და დისციპლინური პასუხისმგებლობა ორი სხვადასხვა რამ არის (უნდა იყოს).“ (Joint Opinion on the Draft Law Amending and Supplementing the Judicial Code (Evaluation System of Judges) of Armenia, CDL-AD(2014)007, para. 28). თუმცა, იმავე დასკვნაში ვენეციის კომისიამ ისიც აღნიშნა, რომ „ინფორმაცია მოსამართლეთა შეცდომებისა ან გადაცდომების შესახებ, მათ შორის ისეთისაც, რომელიც შეფასების პროცესში გამოვლინდა, უნდა შეფასდეს დისკრეციის ფარგლებში და თუ საჭიროა უნდა გადაეცეს დისციპლინურ ორგანოს.“ (იქვე, para. 107).

დისციპლინურ გადაცდომას და თუ ჰქონდა, იყო თუ არა ის ბრალეული. ორივე კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენებას.

თანამდებობიდან გადაყენების მექანიზმი, ოღონდ საკუთრივ შეფასების სისტემის ფარგლებში, შეიძლება ამოქმედდეს კომპეტენციის ნაკლის შემთხვევაშიც, თუ ამგვარი ნაკლი მომდევნო შეფასების დროსაც იქნა დადგენილი. ასეთ დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ორმაგი კვალიფიციური (ორი მესამედის) უმრავლესობის წესით, იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

შეფასების საფუძველზე მოქმედი მოსამართლეების თანამდებობიდან გადაყენება ვენეციის კომისიამ შესაძლებლად მიიჩნია რამდენიმე პოსტკომუნისტურ ქვეყანასთან (ალბანეთი, უკრაინა, მოლდოვა) მიმართებით.<sup>7</sup>

კერძოდ, ალბანეთთან დაკავშირებით ვენეციის კომისიამ აღნიშნა: „... ალბანეთში, ისევე, როგორც ზოგიერთ სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში, სასამართლოს დამოუკიდებლობის სტანდარტების კონსტიტუციონალიზაციამ ერთგვარი პარადოქსი გამოიწვია: კონსტიტუციური გარანტიებით აღჭურვილ იქნენ მოსამართლეები, რომლებიც პრაქტიკაში არც დამოუკიდებელი იყვნენ და არც მიუკერძოებელი. ამის შედეგად, ალბანელი პოლიტიკოსებისა და საზოგადოების თვალსაზრისით, სასამართლო ხელისუფლების ბევრმა წარმომადგენელმა კორპორატიული მიდგომები ჩამოიყალიბა, რამაც შედეგად მოიტანა კორუფციის ფართოდ გავრცელება და პროფესიონალიზმისა და ეფექტიანობის დეფიციტი.“<sup>8</sup> იმავე დასკვნაში, სხვა ადგილას, ვენეციის კომისიამ აღნიშნა: “შეფასების პროცესის საჭიროება აიხსნება იმ მოსაზრებით..., რომ კორუფციის დონე ალბანეთის მართლმსაჯულების სისტემაში ძალზე მაღალია და სიტუაცია გადაუდებელი და რადიკალური ზომების მიღებას მოითხოვს.”<sup>9</sup>

უკრაინასთან დაკავშირებით თავის ერთ-ერთ დასკვნაში ვენეციის კომისიამ განაცხადა: „... [ხელისუფლების წარმომადგენლებმა] ხაზი გაუსვეს იმ ძირითად პრობლემებს, რომლებიც უკავშირდება სასამართლო ხელისუფლებაში არსებულ კორუფციასა და არაკომპეტენტურობას, რაც შედეგად მოჰყვა წინა პერიოდში მოსამართლეების დანიშვნის პროცესზე პოლიტიკური გავლენების გავრცელებას. გარდა ამისა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ასევე ხაზი გაუსვეს საზოგადოების თითქმის სრულ უნდობლობას სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლების პატიოსნებისა და კომპეტენტურობის მიმართ... თუ ვითარება მართლაც ისეთია, როგორც მას ხელისუფლების წარმომადგენლები აღწერენ, საგანგებო ზომების მიღება, ამ

<sup>7</sup> Interim Opinion on the Draft Constitutional Amendments on the Judiciary of Albania, CDL-AD(2015)045; Final Opinion on the Revised Draft Constitutional Amendments on the Judiciary (of 15 January 2016) of Albania, CDL-AD(2016)009; Joint opinion by the Venice Commission and the Directorate of Human Rights of the Directorate General of Human Rights and the Rule of Law on the Law on the Judiciary and the Status of Judges and amendments to the Law on the High Council of Justice of Ukraine, CDL-AD(2015)007; Joint Opinion of the Venice Commission and the Directorate of Human Rights (DHR) of the Directorate General of Human Rights and Rule of Law (DGI) of the Council of Europe on the Draft law on the Reform of the Supreme Court of Justice and the Prosecutor's Office, CDL-AD(2019)020.

<sup>8</sup> CDL-AD(2015)045, para. 8.

<sup>9</sup> Ibid., para. 98.

ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, შესაძლოა აუცილებელიც იყოს და გამართლებულიც.<sup>10</sup>

მოლდოვასთან დაკავშირებით ვენეციის კომისიამ განაცხადა: „რაც შეეხება საკითხს, თუ რამდენად გამართლებულია ასეთი შეფასების პროცედურა, ვენეციის კომისია და დირექტორატი მხედველობაში იღებენ ხელისუფლების წარმომადგენლების შეფასებებს ევროპის პარლამენტის ზემოაღნიშნული ორი რეზოლუციიდან გამომდინარე, რომელთა თანახმად, „უკანასკნელ წლებში მართლმსაჯულების სისტემამ აჩვენა დამოუკიდებლობის უპრეცედენტო უქონლობა და ოლიგარქის ინტერესების მიმართ მორჩილება“ და რომ „ეროვნულმა და საერთაშორისო ინსტიტუტებმა მოლდოვის რესპუბლიკა მიტაცებულ სახელმწიფოდ გამოაცხადეს“.<sup>11</sup>

ვენეციის კომისიის ეს მოსაზრებები სრულიად ამართლებს გარკვეული, აქამდე არარსებული ზომების მიღებას საქართველოში, სადაც სასამართლო ხელისუფლებაში შექმნილი სიტუაცია ზემოთ აღნიშნული სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნების მსგავსია, მითუმეტეს, რომ ამ კანონპროექტით ბევრად უფრო ზომიერი და დაბალანსებული ზომებია გათვალისწინებული, ვიდრე აღნიშნულ ქვეყნებში.

#### *6. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების კვოტები*

კანონპროექტით, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული 8 მოსამართლე წევრისგან 5 წევრი წარმოადგენს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებს, 2 წევრი - სააპელაციო სასამართლოებს და 1 წევრი - საქართველოს უზენაეს სასამართლოს. ამას ემატება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობა თანამდებობრივად ეკუთვნის. ასეთი კვოტირება ხელს შეუწყობს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების სამართლიან წარმომადგენლობას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.<sup>12</sup>

#### *7. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების არჩევის პროცედურა*

კანონპროექტი ითვალისწინებს გარკვეულ, სავალდებულო პროცედურულ წესებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების ნამდვილი (და არა უბრალოდ ფორმალური), პლურალისტური და კონკურენტული არჩევნების ჩატარება. ამ წესებს შორისაა მოსამართლეთა კონფერენციამდე კანდიდატების არაუაგვიანეს 15 დღით ადრე წარდგენა, მოსამართლეთა კონფერენციაზე კანდიდატების სიტყვით გამოსვლა, მათთვის კითხვების დასმა და მათი პასუხების მოსმენა, მათ შესახებ შეფასებების მოსმენა და სხვ.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრი არ შეიძლება იყოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის ან საკვალიფიკაციო პალატის წევრი, სასამართლოს თავმჯდომარე ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.

#### *8. მოსამართლეთა ასოციაცია*

<sup>10</sup> CDL-AD(2015)007, paras. 72-73.

<sup>11</sup> CDL-AD(2019)020, para. 46.

<sup>12</sup> მსგავსი იდეაა შემოთავაზებული ევროკავშირის სასამართლო რეფორმის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში შესრულებულ კვლევაშიც: ნ. წერეთელი, „იუსტიციის საბჭოების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სტრუქტურული და ორგანიზაციული საკითხები“, DAI Human Dynamics, გვ. 4.

ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მოსაზრებით, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანს, მოსამართლესაც აქვს უფლება გაერთიანდეს პროფესიულ ასოციაციაში. ამ უფლებით სარგებლობა არა მხოლოდ ცალკეული მოსამართლეების, არამედ მთლიანად მართლმსაჯულების სისტემის ინტერესებშია.<sup>13</sup>

საქართველოში მოსამართლეთა ასოციაციების წახალისება ხელს შეუწყობს მოსამართლეებს შორის ჯანსაღი კონკურენციის გაზრდას და სასამართლო სისტემაში არაფორმალური ჯგუფების გავლენის შემცირებას. ხოლო, ასოციაციებისთვის, აგრეთვე არასოცირებული მოსამართლეთა ჯგუფებისთვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრობის კანდიდატების ნომინირების უფლების გადაცემა მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება იმისათვის, რომ არჩევნები რეალურად ჩატარდეს და არა ფორმალურად და მოჩვენებითად.<sup>14</sup>

კანონპროექტით საერთო სასამართლოების ნებისმიერ 5 ან მეტ მოსამართლეს შეუძლია დააფუძნოს მოსამართლეთა ასოციაცია. მოსამართლეთა ასოციაცია შეიძლება იყოს ან არ იყოს იურიდიული პირი. მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიულ პირად რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

მოსამართლეთა ასოციაციის დაფუძნება ხორციელდება ასოციაციის დამფუძნებელ კრებაზე, რომელზეც კრებაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით ირჩევენ ასოციაციის თავმჯდომარეს, გამგეობას და სხვა ორგანოებს. ამ კანონის მიზნებისათვის, მოსამართლეთა ასოციაციის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი.

კანონპროექტით მოსამართლეთა ასოციაციას მნიშვნელოვანი უფლებები ენიჭება. კერძოდ, მას აქვს იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრობის კანდიდატების ნომინირების, ასევე მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულ კომიტეტში წევრის დანიშვნის უფლება.

შესაბამისად, იცვლება მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის დაკომპლექტების წესიც. კერძოდ, მოსამართლეთა კონფერენცია ირჩევს 9 წევრიანი კომიტეტის 3 წევრს. დანარჩენ 6 წევრს პარტიტეტის საფუძველზე ნიშნავენ მოსამართლეთა ასოციაციები. თუ ასეთები არ არსებობს, მაშინ კონფერენცია ირჩევს დანარჩენ წევრებსაც.

### *9. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის არჩევა*

სიახლე ის არის, რომ გათვალისწინებულია მეორე ტური. თუ კონფერენციაზე დამსწრე მოსამართლეთა ორი მესამედის მხარდაჭერა ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო, გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს კონფერენციაზე დამსწრე მოსამართლეთა უმრავლესობის მხარდაჭერას. ასეთ შემთხვევაში მდივნის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 1 წლით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

<sup>13</sup> Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion No. 23 (2020), The role of associations of judges in supporting judicial independence, paras. 12-14.

<sup>14</sup> საქართველოში, ისევე, როგორც ზოგიერთ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში მოსამართლეებს არაფორმალურად „სთხოვენ“ მხარი დაუჭირონ ისეთ კანდიდატებს, რომლებიც გავლენიანი მოსამართლეების მხარდაჭერით სარგებლობენ, ნ. წერეთელი, „იუსტიციის საბჭოების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სტრუქტურული და ორგანიზაციული საკითხები“, გვ. 5.

საბჭოს მდივანს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა.

#### *10. დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევის წესი*

პრაქტიკამ აჩვენა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევა არაეფექტიანი ზომა იყო. აუცილებელია, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორი არ იყოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე დამოკიდებული პირი. აქედან გამომდინარე, კანონპროექტით დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევისა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მისი თანამდებობიდან გათავისუფლების პრეროგატივა გადადის საქართველოს პარლამენტზე.

#### *11. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს ფორმირების წესი*

ცვლილება შედის იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს ფორმირების წესში. კერძოდ, დამოუკიდებელი საბჭოს 3 წევრს კვლავ მოსამართლეთა კონფერენცია აირჩევს, როგორც ეს კანონის მოქმედ რედაქციაშია. ამ მხრივ, სიახლე ის არის, რომ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრი არ შეიძლება იყოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის ან საკვალიფიკაციო პალატის წევრი, სასამართლოს თავმჯდომარე, ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.

დამოუკიდებელი საბჭოს 4 წევრს ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლე წევრების სრული შემადგენლობის უმრავლესობით და არამოსამართლე წევრების სრული შემადგენლობის უმრავლესობით. დამოუკიდებელი საბჭოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული წევრი უნდა იყოს პირი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა უკავია და საჯარო დაწესებულებაში არ მუშაობს.<sup>15</sup>

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ასარჩევი წევრების კანდიდატების წარდგინების უფლება აქვთ შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიურ საბჭოებს.<sup>16</sup>

დამოუკიდებელი საბჭოს თითოეული წევრის უფლებამოსილების ვადა 4 წელია. დამოუკიდებელი საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. ერთი და იგივე პირი დამოუკიდებელი საბჭოს წევრად ზედიზედ შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ ორჯერ.

წარმოდგენილი ცვლილებებით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებით ყველა უფლებამოსილება, რომელიც აქამდე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გააჩნდა, ახლა გადადის იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს კომპეტენციაში.<sup>17</sup>

---

<sup>15</sup> ის ფაქტი, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შემადგენლობაში მოსამართლეები უმცირესობაში იქნებიან, სრულიად შეესაბამება ევროპული ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას (იხ. ნ. წერეთელი, „სასამართლო (თვით)მმართველობის სისტემის მულტი-ცენტრულობა: ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება და სისტემის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“, DAI Human Dynamics, 2020 წ. ნოემბერი, გვ. 18-19).

<sup>16</sup> იქვე., გვ. 19.

<sup>17</sup> იქვე., გვ. 17-18.

## 12. დისციპლინური სამართალწარმოების ოპტიმიზაცია

საქართველოს მიმართ GRECO-ს მეოთხე რაუნდის შეფასებაში აღნიშნულია, რომ მიუხედავად არაერთი ძალისხმევისა, რომელიც მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მიზნით განხორციელდა, სასამართლოების მიმართ საზოგადოებრივი ნდობა არცთუ ისე მაღალია.<sup>18</sup>

მართალია, რეფორმები შეეხო მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემასაც, დისციპლინური სამართალწარმოება ძალზე არაეფექტური და გაუმჭვირვალეა, რის თაობაზეც იუწყებიან არა მხოლოდ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, არამედ საერთაშორისო ინსტიტუტებიც. ამგვარი არაეფექტურობის შედეგი კი ის არის, რომ უკანასკნელი თითქმის ათწლეულის განმავლობაში მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიამ მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში დააკისრა გარკვეული სანქციები მოსამართლეებს.<sup>19</sup>

ამგვარი გულგრილობა და უმოქმედობა, რომელსაც წლების განმავლობაში იჩენს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეთა მხრიდან დისციპლინური სამართალდარღვევის ფაქტების მიმართ, მოსამართლეთა შორის დაუსჯელობის, ხოლო ქვეყნის მოქალაქეებს შორის უსამართლობისა და სასამართლოსადმი უნდობლობის გრძნობის განვითარებას უწყობს ხელს.

შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა რადიკალური ზომების მიღება, რათა დისციპლინური სამართალწარმოების ადრეულ ეტაპებზე გაიზარდოს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის ეფექტურობა და ეფექტიანობა. სწორედ ამგვარი ზომების გატარებას ითვალისწინებს წარმოდგენილი კანონპროექტი.

კერძოდ, კანონპროექტის თანახმად, დისციპლინურ სამართალწარმოებაში უქმდება ე.წ. „წინასწარი შემოწმების“ სტადია და იგი ე.წ. „გამოკვლევის“ სტადიას უერთდება. ამასთან, უქმდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება დისციპლინური დევნის დაწყებისა და დისციპლინურ პასუხისმგებაში მოსამართლის მიცემის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღების მხრივ. გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც მოსამართლის პერიოდული შეფასების პროცესში, მოსამართლის კეთილსინდისიერების ნაკლის გამო, იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში ასეთი უფლებამოსილება ექსკლუზიურად გადაეცემა დამოუკიდებელ ინსპექტორს. გარდა ამისა, დამოუკიდებელ ინსპექტორსვე გადაეცემა მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში და, თუ საჭირო გახდა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში ბრალდების მხარდაჭერის უფლებამოსილებაც.

ამ ზომების მეშვეობით დისციპლინური სამართალწარმოების ადრეულ ეტაპებზე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აღარ ექნება უფლებამოსილება, ჩაერიოს დისციპლინური საქმის მსვლელობაში და დაბლოკოს ეს პროცესი, რასაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო მუდმივად ახორციელებდა თითქმის ათწლეულის განმავლობაში. ამასთან,

<sup>18</sup> Group of States against Corruption, Fourth Evaluation Round for Georgia, Adopted by GRECO at its 74<sup>th</sup> Plenary Meeting, GrecoEval4Rep(2016)3, para. 85.

<sup>19</sup> იქვე, para. 127.

დამოუკიდებელ ინსპექტორს მიეცემა შესაძლებლობა უფრო ქმედითად განახორციელოს ის უფლებამოსილებანი, რომლისთვისაც საერთოდ შეიქმნა ეს ინსტიტუტი.

დაბოლოს, კანონპროექტით 3 წლიდან 5 წლამდე იზრდება დისციპლინური პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა. უქმდება მოქმედი კანონის ის გაუგებარი დანაწესი, რომლის თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან გასულია 1 წელი.

### *13. სასამართლოს გადაწყვეტილებებში პერსონალური მონაცემების გამჟღავნების საკითხი*

შარლ მიშელის დოკუმენტში ცალკე აბზაცად არის მითითებული საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების მიღების აუცილებლობაზე. საქმე ეხება ღია სხდომაზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში პერსონალური მონაცემების გამჟღავნების საკითხს.

შემოთავაზებული ცვლილება დეტალურად ასახავს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებებს სამართლიანი ბალანსის შესახებ, რომელიც უნდა არსებობდეს მართლმსაჯულებაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების საჯარო ინტერესსა და ინდივიდის პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესს შორის.

კერძოდ, პერსონალური მონაცემის სუბიექტს შეუძლია მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს დასაბუთებული შუამდგომლობით, რათა სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ გამჟღავნდეს პერსონალური მონაცემი, რომელიც შეეხება პირის ჯანმრთელობას ან პირად ინტიმურ ურთიერთობებს და განსაკუთრებით ინტენსიურ გავლენას მოახდენს პირის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, პირად ურთიერთობებზე ან/და საქმიან რეპუტაციაზე; ან შეეხება მისი ოჯახის წევრ არასრულწლოვანს და მონაცემის გამჟღავნება ეწინააღმდეგება მის საუკეთესო ინტერესებს. შუამდგომლობაზე ცალკე ბაჟის გადახდა გათვალისწინებული არ არის.

სასამართლომ უნდა იმსჯელოს, თუ რამდენად საფუძვლიანია შუამდგომლობაში მითითებული გარემოებები. ამასთან, სასამართლომ ასევე უნდა იმსჯელოს, არსებობს თუ არა მოცემულ საქმეზე მომეტებული/გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც გადაწონის მონაცემების გაუმჟღავნებლობის ინდივიდუალურ ინტერესს. ასეთი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, თუ პერსონალური მონაცემი შეეხება: ა) „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საჯარო პირს; ბ) მოვლენას, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

სასამართლოს უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე ერთჯერადად საჩივრდება ზემდგომ სასამართლოში, რომლის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება. ორივე ინსტანციის სასამართლოს მიერ საკითხის განხილვის შემთხვევაშიც კი მთელი ეს პროცედურა სრულდება მაქსიმუმ 15 დღის განმავლობაში. შესაბამისად, სასამართლოებს ამ პროცედურის დაწესებით დიდი ადმინისტრაციული ხარჯები არ დააწვებათ.

### *14. გარდამავალი დებულებები*

კანონპროექტის თანახმად, ამ კანონის ამოქმედებამდე 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით თანამდებობაზე გამწესებული მოსამართლის შეფასების პროცედურა უნდა

განხორციელდეს და მისი უვადოდ გამწესების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ამ კანონის ამოქმედებამდე მოქმედი რედაქციის შესაბამისად.

ამ კანონის ამოქმედების შემდეგ რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების იმ მოსამართლეების შეფასება, რომელთა თანამდებობაზე გამწესებიდან 5 წელი არ არის გასული, უნდა ჩატარდეს აღნიშნული 5 წლიანი ვადის გასვლისთანავე, ხოლო იმ მოსამართლეების შეფასება, რომელთა თანამდებობაზე გამწესებიდან გასულია 5 წელი, - ამ კანონის ამოქმედებიდან 1 წლის განმავლობაში.

ამ კანონის ამოქმედებისთანავე უფლებამოსილება უწყდება დამოუკიდებელი ინსპექტორს, რომელიც ახალი დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევამდე აგრძელებს დამოუკიდებელი ინსპექტორის მოვალეობის შესრულებას. საქართველოს პარლამენტმა, ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში უნდა აირჩიოს დამოუკიდებელი ინსპექტორი ამ კანონით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით.

**ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში**

ასეთი კავშირი არ არსებობს.

**ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება**

ვინაიდან ქართული სასამართლოს მიმართ დიდი ყურადღებაა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ და არსებობს მოლოდინი ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან სწრაფი და ეფექტური სასამართლო რეფორმის გატარების, კანონპროექტი ძალაში უნდა შევიდეს მისი გამოქვეყნებისთანავე. ის, ასევე, დადებით გავლენას მოახდენს ქვეყნის პოლიტიკურ გარემოზე, რომელშიც მაღალია პოლარიზებისა და დაპირისპირების ხარისხი, მათ შორის, სასამართლოს მიმართ უნდობლობის გამო.

**ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას)**

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა მოთხოვნილი არ არის.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი)**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო**

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის და იუსტიციის უმაღლესი სკოლისთვის გამოყოფილი ასიგნებები. გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა, მოზიდულ იქნეს დონორი ორგანიზაციების სახსრებიც.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს 7 წევრის ხელფასები და ხარჯები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ხელფასებისა და ხარჯების ანალოგიურად. კერძოდ, საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრების ხელფასების დასაფინანსებლად საჭირო გახდება ყოველწლიურად დაახლოებით 500 000 ლარის ასიგნებები. ოფისის მოსაწყობად, სათანადო კომპიუტერული ტექნიკისა და სხვა ინვენტარის შესაძენად, სავარაუდოდ, საკმარისი იქნება დაახლოებით 150 000 – 200 000 ლარის გამოყოფა. ამასთან, გარკვეული ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება მოხდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაზოგილი სახსრებიდან, რადგან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს აღარ მოუხდებათ შეფასების პროცედურაში მონაწილეობა. გარდა ამისა, შესაძლებელია დონორ ორგანიზაციებთან მოლაპარაკება, რათა საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს დაფინანსება, ნაწილობრივ, მაინც მათ აიღონ თავის თავზე. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტზე დამატებითი ტვირთი შემცირდება.

დამატებითი ხარჯები დასჭირდება იუსტიციის უმაღლეს სკოლასაც, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კომპეტენტურობის ნაკლის გამო სკოლაში ერთი წლით მივლენილი მოსამართლისთვის სპეციალური საკვალიფიკაციო კურსის ჩატარება. თუმცა, ამ ხარჯების ანაზღაურება შესაძლებელია ასეთი მოსამართლისთვის ხელფასის 2/3-ის დაკავების გზით მიღებული დანაზოგებიდან.

ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე დადებითად აისახება სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარის მოადგილეების თანამდებობის გაუქმება. თუმცა, დაზოგილი თანხა დიდი არ იქნება, რადგან საქართველოში სულ ორი სააპელაციო სასამართლოა.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა**

კანონპროექტი გავლენას იქონიებს იმ მოსამართლეების კარიერაზე, რომლებიც ვერ შეძლებენ პერიოდული შეფასების ან/და დისციპლინური სამართალწარმოების გაუმჯობესებული წესების შედეგად წარმოშობილ გამოწვევებთან გამკლავებას.

კანონპროექტი უმნიშვნელო ფინანსურ შედეგებს იქონიებს სასამართლოს თავმჯდომარეებზე, რომელთა უფლებამოსილების ვადა 5 წლიდან 3 წლამდე მცირდება, ხოლო განმეორებითი არჩევის წესი უქმდება. ასევე მცირე ფინანსურ დანაკარგებს განიცდიან სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები (საქართველოში სულ ორი სააპელაციო სასამართლოა), რადგან ეს თანამდებობა უქმდება. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლოების თავმჯდომარეებიც და მოადგილეებიც მოსამართლეები არიან, მათი ძირითადი საქმიანობა მოსამართლეობაა და სწორედ ამისთვის იღებენ ისინი შრომის ანაზღაურებას.

კანონპროექტი გავლენას იქონიებს მოსამართლეებზე, რომლებიც კომპეტენტურობის ნაკლის გამო ერთი წლით მივლენილი იქნებიან იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სპეციალური საკვალიფიკაციო კურსის გასავლელად, რადგან ამ პერიოდის განმავლობაში მათ ხელფასის მხოლოდ 1/3 შეუნარჩუნდებათ.

კანონპროექტი უარყოფითად იმოქმედებს საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებზე, რომლებსაც ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება უფლებამოსილება შეუწყდეთ. თუმცა, შესაბამისი ნორმების არსებობა იქნება ეფექტიანი პრევენციული მექანიზმი იმისათვის, რომ ამ პირებმა არ დაუშვან ისეთი დარღვევები, რომლებსაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს მათი უფლებამოსილების შეწყვეტა.

კანონპროექტი ასევე უარყოფითად იმოქმედებს იმ მოსამართლეებზე, რომლებსაც უარყოფითი შეფასების გამო შეუწყდებათ უფლებამოსილება. თუმცა, მეორე მხრივ, ეს გარემოება უზიძგებს მოსამართლეებს იმისკენ, რათა მუდმივად იზრუნონ კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების მაღალი მაჩვენებლების შენარჩუნებისათვის.

იმის გამო, რომ დისციპლინური სამართალწარმოების მიმართ ხანდაზმულობის ვადა გაზრდილია, კანონპროექტი შედეგებს იქონიებს იმ მოსამართლეებზე, რომელთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შესაბამისი გადაცდომის ჩადენიდან 3-დან 5 წლამდე პერიოდში დაიწყო.

კანონპროექტი აუქმებს კონკურსის გარეშე მოსამართლის დაწინაურების მექანიზმს, რაც გავლენას იქონიებს იმ მოსამართლეებზე, რომლებიც ასეთი წესით დაწინაურების პერსპექტივას განიხილავდნენ.

დაბოლოს, კანონპროექტი გავლენას იქონიებს მოქმედ დამოუკიდებელ ინსპექტორზე, რადგან კანონპროექტით გათვალისწინებულია დამოუკიდებელი ინსპექტორის პარლამენტის მიერ არჩევა.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

**ბ<sup>1</sup>) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება**

კანონპროექტი არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს. კანონპროექტი მთლიანად შეესაბამება 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმებას და საარჩევნო სფეროში მისი დებულებების იმპლემენტაციის მიზანს ემსახურება.

**გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან**

ასეთი არ არსებობს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში**

ასეთები არ არსებობენ.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში**

ასეთი არ არსებობს.

**ე) კანონპროექტის ავტორი**

ალექსანდრე ბარამიძე, დავით უსუფაშვილი, გიორგი ვაშაძე, ანა ნაცვლიშვილი, არმაზ ახვლედიანი, სალომე სამადაშვილი, თეონა აქუბარდია და ბადრი ჯაფარიძე

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი**

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: დავით უსუფაშვილი, გიორგი ვაშაძე, ანა ნაცვლიშვილი, არმაზ ახვლედიანი, სალომე სამადაშვილი, თეონა აქუბარდია და ბადრი ჯაფარიძე